GEORGIAN UNIVERSAL GROUP

შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი"
ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ქ. №23, ბ. №5
0194 თბილისი, საქართველო
მობ.: (+995 599) 89 10 02
g.kamushadze@tdctrade.ge

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

გარემოს ეროვნული სააგენტო
15. 03 2023
№ 2137

ქალბატონი თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი" (ს/კ 405364029), კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კოდისწყაროში აბორიგელებს მეორადი ზეთების გადამუშავებას (ნარჩენების აღდგენა). საწარმოზე საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი პროცედურების დაცვით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 დეკემბრის N2-1187 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში, საწარმოში გათვალისწინებული იყო ავტომატურ რეჟიმში მომუშავე სახანძრო სისტემის მოწყობა მილგაყვანილობით და ქაფწარმომქმნელით, ვინაიდან აღნიშნული სისტემა არ არის დამონტაჟებული, კომპანიას სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობით განესაზღვრა ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

დარღვევის აღმოფხვრის მიზნით, საწარმომ მიიღო გადაწყვეტილება, მოაწყოს უფრო ეფექტური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, ვიდრე გათვალისწინებული იყო გზშ-ის ანგარიშში და აღნიშნულის თაობაზე, წერილობით მოგმართათ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 თებერვლის №21/927 წერილის თანახმად, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ცვლილება, განხილული იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საქმიანობად და დაექვემდებარა სკრინინგის პროცედურას.

გარდა ამისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 დეკემბრის N2-1187 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების შესრულების მიზნით, მომზადდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა და სუნის გაჟონვების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, ასევე მავნე ნივთიერებათა (მათ შორის მტვრის) გაფრქვევების შემცირების ღონისძიებები.

საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 38 მ მანძილში, ხოლო 2020 წლის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ტექნოლოგიური გაზის წვის დანადგარი დაპროექტდა უახლოესი მოსახლიდან დაახლოებით 50 მეტრში. შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავების ეტაპზე, უახლოეს მოსახლესთან, სუნის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა საწარმოს შიდა პერიმეტრზე, გაზის წვის დანადგარის ლოკაციის ცვლილება. აღნიშნული ცვლილების შემდეგ, გაზის დანადგარსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის მანძილი გაიზრდება 110 მეტრით.

საწარმოში, გაზის დანადგარის განთავსების ლოკაციის ცვლილება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 7 თებერვლის №21/711 წერილის თანახმად, ასევე განხილული იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საქმიანობად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის და გაზის დანადგარის ლოკაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

GEORGIAN UNIVERSAL GROUP

შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი"
ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის ქ. №23, ბ. №5
0194 თბილისი, საქართველო
მობ.: (+995 599) 89 10 02
g.kamushadze@tdctrade.ge

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი"-ს მეორადი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს პროექტის ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელ.ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს „საქართველოს უნივერსალური ჯგუფი"-ს დირექტორი /გელა ქამუშაძე/